საქართველოს მთავრობის

დადგენილება №106

2026 წლის 12 მარტი

ქ. თბილისი

სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი, პლასტმასისგან დამზადებული გარკვეული პროდუქციის წარმოების, იმპორტისა და ბაზარზე განთავსების აკრძალვის შესახებ

მუხლი 1

ნარჩენების მართვის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პლასტმასის ნარჩენების წარმოქმნისა და მათი უარყოფითი გავლენის შემცირების მიზნით:

1. 2031 წლის 1 თებერვლიდან აიკრძალოს საზოგადოებრივი კვების ობიექტების მიერ მომხმარებლისთვის ამ დადგენილების დანართით განსაზღვრული სასმელების მიწოდება პლასტმასის ბოთლებით.

2. 2031 წლის 1 თებერვლიდან აიკრძალოს პლასტმასის ბოთლებში ჩამოსხმული, ამ დადგენილების დანართით განსაზღვრული სასმლის წარმოება (გარდა ექსპორტის მიზნით), იმპორტი და ბაზარზე განთავსება.

3. ამ მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა საჭიროებისათვის საწვრთნელი ოპერაციების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის, პრევენციული და რეაგირების ღონისძიებების განხორციელების მიზნებისთვის სასმელი წყლის მიწოდებასა და წარმოებაზე, ასევე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემის მოსამსახურეთა საჭიროებისათვის საწვრთნელი ოპერაციების, სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, პრევენციული და რეაგირების ღონისძიებების განხორციელების მიზნებისთვის სასმელი წყლის მიწოდებასა და წარმოებაზე, აგრეთვე საქართველოს თავდაცვის ძალებისა და სამხედრო მოსამსახურეთა საჭიროებისათვის სამხედრო სწავლებების/ წვრთნების და სამხედრო ოპერაციების მიზნებისთვის სასმელი წყლის მიწოდებასა და წარმოებაზე;

ბ) მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება 3 ლიტრისა და მეტი მოცულობის სასმელ წყალსა და 20 ლიტრისა და მეტი მოცულობის ამ დადგენილების დანართით განსაზღვრულ სხვა სასმელებზე.

4. ექსპორტის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა საჭიროებისათვის საწვრთნელი ოპერაციების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის, პრევენციული და რეაგირების ღონისძიებების განხორციელების მიზნებისთვის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემის მოსამსახურეთა საჭიროებისათვის საწვრთნელი ოპერაციების, სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, პრევენციული და რეაგირების ღონისძიებების განხორციელების მიზნებისთვის ან/და საქართველოს თავდაცვის ძალებისა და სამხედრო მოსამსახურეთა საჭიროებისათვის სამხედრო სწავლების/წვრთნების და სამხედრო ოპერაციების მიზნებისთვის პლასტმასის ბოთლებით სასმლის წარმოებისას მწარმოებელი ვალდებულია, წარმოების დაწყებამდე ერთი თვით ადრე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს წერილობით აცნობოს წარმოების დაწყებისა და დამთავრების ვადების, დასამზადებელი პროდუქციის რაოდენობის, ექსპორტის ქვეყნისა და ექსპორტის განხორციელების ვადების შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 30 აპრილის დადგენილება №173 - ვებგვერდი, 01.05.2026წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 18 ივნისის დადგენილება №274 - ვებგვერდი, 19.06.2026წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 1 ივლისის დადგენილება №296 - ვებგვერდი, 02.07.2026წ.

მუხლი 2
ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლს, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებენ:
ა) სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო, გარდა ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური, პლასტმასის ბოთლებში ჩამოსხმული, ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებული სასმლის იმპორტისას, მონაცემთა ავტომატიზებული ბაზების მეშვეობით გამოსაყენებელი რისკების მართვის სისტემაზე დაყრდნობით.

მუხლი 3
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

დანართი

სურსათის კატეგორია – სასმელები

სასმელები	**სეს ესნ კოდი**
არაალკოჰოლური (უალკოჰოლო) სასმელები	
წყალი, მათ შორის, ნატურალური მინერალური წყალი, გაზირებული ან არაგაზირებული	2201
ხილისა და ბოსტნეულის წვენები	2009
ხილის ნექტრები, ბოსტნეულის წვენები და მსგავსი პროდუქტები; არომატიზებული სასმელები; სასმელები ჩაის, ყავის, კაკაოს ფუძეზე; სხვა გაზირებული არაალკოჰოლური (უალკოჰოლო) სასმელები	2202
ალკოჰოლური სასმელები	
ალკოჰოლური სასმელები (მათ შორის, ალკოჰოლის დაბალი შემცველობის სასმელები) მათ შორის: ლუდი და ალაოს სასმელები; ღვინო და ღვინის სხვა პროდუქტები; ვაშლისა და მსხლის სიდრი; ხილის ღვინო; თაფლის ალკოჰოლური სასმელი; სპირტიანი სასმელები; არომატიზებული ღვინის ფუძეზე (საფუძველზე) მომზადებული სასმელები; არომატიზებული ღვინოები; არომატიზებული, ღვინის ფუძეზე (საფუძველზე) მომზადებული სასმელები; არომატიზებული, ღვინის პროდუქტების კოქტეილები; სხვა ალკოჰოლური სასმელები, მათ შორის, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური (უალკოჰოლო) სასმელების მიქსტურები და სპირტიანი სასმელები 15%-ზე ნაკლები მოცულობითი სპირტს შემცველობით	2203 2204 2205 2206 2208